ერთობლივი წერა

მასწავლებელი დაფაზე წერს ტექსტს და მოსწავლეებს აქტიურად რთავს როგორც უშუალოდ წერის პროცესში, ასევე ტექსტის შედგენასთან დაკავშირებულ დისკუსიაში.
ერთობლივი წერა შუალედური რგოლი საჩვენებელ წერასა (მასწავლებლის მიერ წერის მოდელირება) და მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად წერას შორის.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი

მსვლელობა

საფეხური 1. წინარე ცოდნის გააქტიურება. საწერი თემის ერთობლივი შერჩევა. წერის დაწყებამდე მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ და შეარჩევენ საკითხს, რომლის შესახებაც სურთ წერა. მასწავლებელი განავრცობს ბავშვების ზოგად/ფონურ ცოდნას და ასევე ენობრივ ცოდნას მათთვის საინტერესო თემასთან ან გამოცდილებასთან დაკავშირებით.

საფეხური 2. ერთობლივი წერა. მასწავლებელი თავად წერს მთელ ტექსტს დაფაზე/ფორმატზე მოსწავლეების თვალწინ და, ამავე დროს, სთხოვს ბავშვებს, მონაწილეობა მიიღონ წერის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლეს წერტილს დაასმევინებს, ზოგს ამა თუ იმ სიტყვის ან სათაურის ადგილმდებარეობას შეარჩევინებს, ზოგიერთს ასოს დააწერინებს, ზოგს – მთლიან სიტყვას, ზოგიერთს კი სთხოვს წინადადების განვრცობასა თუ შემოკლებაში დახმარებას.

საფეხური 3. ტექსტის წაკითხვა და შეცდომების ჩასწორება. წერის პროცესის დასრულებამდე მასწავლებელი პერიოდულად თავიდან გადაუკითხავს ტექსტს მოსწავლეებს, რითაც წერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიის მოდელირებასაც აკეთებს მათთვის. ამ პროცესში ის მოსწავლეებს ეკითხება, რამდენად სწორადაა გადმოცემული ტექსტის შინაარსი, რამდენად გამართულია წინადადებები, რა უნდა დაიწეროს შემდეგ და ა.შ. ამავე დროს, მასწავლებელი შეკითხვებისა თუ მინიშნებების, ე.წ. „ხარაჩოების“ მეშვეობით ეხმარება მოსწავლეებს შეცდომების გასწორებაში.

საფეხური 4. შეჯამება. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უკითხავს დასრულებულ მოთხრობას მოსწავლეებს და აძლევს მათ შესაძლებლობას, ზეპირად შეაჯამონ ტექსტი, ისაუბრონ, ერთი მხრივ, რა შეიტყვეს ახალი იმ თემის შესახებ, რაზეც წერდნენ, მეორე მხრივ კი, რა ისწავლეს უშუალოდ წერის პროცესის შესახებ. სასურველია, ტექსტი გამოიფინოს საკლასო ოთახში და მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, შემდეგი რამდენიმე დღის/კვირის განმავლობაში იკითხონ და გამოიყენონ იგი.

შენიშვნა:

- მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს და მოსწავლეებს გააცნოს წერითი აქტივობის ***მიზანი*** (მაგ., სტატია საკლასო გაზეთისათვის; წესები ახალი თამაშისათვის; სახუმარო ამბავი; საინფორმაციო ტექსტი და სხვ.), ეს გაზრდის მათ მოტივაციას და პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას მისცემს.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თავად კი არ შეასწოროს მოსწავლეების მიერ წერის პროცესში დაშვებული ***შეცდომები***, არამედ შეკითხვების საშუალებით მიანიშნოს მოსწავლეს და მისცეს შეცდომის დამოუკიდებლად გამოსწორების საშუალება.